ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 16
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წალენჯიხა, ჯგალი 26.04. 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ნონა კვარაცხელიას სახით და მეორეს მხრივ შპს „წალენჯიხის საგზაო სამმართველო" წარმოდგენილი მისი უფროსის ბაგრატ ღვინჯილიას სახით, მის: ქ. წალენჯიხა, თამარ მეფის ქ. 10 (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ღორღის შეძენის ღირებულება
CPV კოდი 14200000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 240 (ორას ორმოცი) ლარს.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1.საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების (ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის) თარიღიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა .
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია წალენჯიხა, ჯგალის თემი

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
4.4. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.
6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 15 პროცენტს, მხარეს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
6.3. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მიმწოდებელი თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
10.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელისმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 10 მაისამდე.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის	შპს „წალენჯიხის საგზაო სამმართველო“
ჯგალის თემის საჯარო სკოლა	
მის.: წალენჯიხა, ჯგალის თემი	წალენჯიხა, თამარ მეფის ქ. 10
ტელ : 591 05 64 40	ს/კ 242728848
ს/კ: 242735876	ბანკი ლიბერთი ბანკი
ბანკი ლიბერთი ბანკი	ბანკის კოდი LIBRGE22
ა/ა GE83LB0121138587090000	ა/ა GE77LB0112[illegible]3529[illegible]0
ჯგალის საჯარო სკოლის დირექტორი	შპს „წალენ[illegible]ზ[illegible]ართველო“
ნონა კვარაცხელია	უფრო[illegible]ლია